სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/217

ქ. თბილისი

25 დეკემბერი 2023 წ.

წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის კვოტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე წესდების მე-10 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის სხდომის №01-05-02/35ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. განისაზღვროს წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ვაკანტური ადგილები ფაკულტეტების მიხედვით:

ა) სამშენებლო ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ბ) ენერგეტიკის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

გ) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

დ) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ე) სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ვ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ზ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

თ) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 6 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 5 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ი) დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

კ) აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ლ) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

მ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

ნ) მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) წარმომადგენლობის კვოტის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 08 იანვრის №01-05-04/03 დადგენილება.

3. დადგენილება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4, დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**